საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №22

ქ. ბათუმი 20 თებერვალი, 2018 წ.

ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის გამძლეობის გენეტიკის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლისა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობისა და უფლებამოსილების ვადის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის გამძლეობის გენეტიკის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომლისა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 იანვრის №01-08/5 ბრძანებისა და რექტორის მოადგილის, პროფესორ ნათელა წიკლაშვილის სამსახურეობრივი ბარათის (MES 5 18 00178515, 19.02.2018) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. „ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის გამძლეობის გენეტიკის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომლისა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 იანვრის №01-08/5 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით დამტკიცდეს:

1.1. ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **გურამ მემარნე** - ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) **მარიამ მეტრეველი** - ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, კომისიის მდივანი;

გ) **თამარ მაჭუტაძე** - სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.

1.2. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **როინ მალაყმაძე** - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) **ნინო ინაიშვილი** - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, კომისიის წევრი;

გ) **თამარ მაჭუტაძე** - სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი, კომისიის მდივანი.

1.3. ერთიანი სააპელაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ნათელა წიკლაშვილი** - რექტორის მოადგილე, პროფესორი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) **გალინა მეფარიშვილი** - ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, კომისიის წევრი, მდივანი;

გ) **ბიჭიკო დიასამიძე** - - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, კომისიის წევრი.

2. საკონკურსო კომისიის მუშაობის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს **2018 წლის 21 თებერვლიდან 25 თებერვლის ჩათვლით** (კონკურსის შედეგები უნდა გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2018 წლის 25 თებერვლისა).

3. საკონკურსო სააპელაციო კომისიის მუშაობის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს **2018 წლის 23 თებერვლიდან 28 ჩათვლით**.

4. *უფლებამოსილების განხორციელებისას კომისიებმა იხელმძღვანელონ ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებით,* „ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის გამძლეობის გენეტიკის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომლისა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 იანვრის №01-08/5 ბრძანებით, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018 წლის თებერვალში სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 თებერვლის N01-08/22 ბრძანების, *,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესით გათვალისწინებული დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 16 თებერვლის N01-08/23 ბრძანების და წინამდებარე დადგენილებით.*

5. *წინამდებარე დადგენილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტს, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტს, საკონკურსო და სააპელაციო კომისიების წევრებს.*

6. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**